ბი–პი ეხმარება სტიქიით დაზარალებულებს

2015 წლის 23 ივნისი

კომპანია ბი–პი–მ გამოყო 50,000 აშშ დოლარი ქ. თბილისში 13 ივნისს მომხდარი წყალდიდობის შედეგებით დაზარალებულთა დასახმარებლად. თანხა გადაირიცხება საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების ანგარიშზე და მოხმარდება სტიქიის შედეგად დაზარალებულ პირთათვის დახმარების აღმოჩენას.

ბი–პი–მ ასევე გახსნა სპეციალური ფონდი თანამშრომელთა შემოწირულობისათვის. კომპანია მოახდენს თითოეული თანამშრომლის შემოწირულობის იდენტური თანხის დამატებით გადარიცხვას ფონდში.

ბი–პი–მ სტიქიის შემდეგ გაწმენდით სამუშაოებში ჩართული მოხალისეებისათვის 700 დამცავი ხელთათმანი გადასცა საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებას.

"თანავუგრძნობთ სტიქიით დაზარალებულებს, საქართველოს მთავრობას და ქართველ ხალხს კომპანია ბი-პი–ს სახელით. ვიმედოვნებ, რომ ჩვენი შემოწირულობით მოკრძალებულ წვლილს შევიტანთ წყალდიდობის შემდეგ სარეაბილიტაციო სამუშაოებში", აცხადებს ბატონი ქრის შლიტერი, ბი–პი-ს ხელმძღვანელი საქართველოში.